ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის **უტა ლიპარტიას** მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდი:	- 2015 წელი
კომისი(ებ)ის დასახელება:	საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება:	ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი

- **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

  სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 30 სხდომა (12 რიგითი და 18 რიგგარეშე)

  საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 22 სხდომა

  სულ საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა - 28 სხდომა

  ბიუროს სხდომაზე დასწრება - 21 სხდომა

- **სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -** 51 სხდომა

  კომისიის სხდომებზე დასწრება:

  - როგორც საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ჩავატარე 13 სხდომა

- **სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა -** 9 სხდომა

  ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 7 სხდომა

- **საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

  - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

  - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამების დამტკიცება (სოციალური და ჯანდაცვის).

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ვარ საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 13 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ სხდომაში, ყველა ის პრობლემა, რომელიც წამოიჭრა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილული იქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს, ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.